კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში!

სასამართლოს შესახებ:

ქუთაისის საქალაქო სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელების პირველი ინსტანციის სასამართლოა, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ქალაქ ქუთაისს, წყალტუბოს, ბაღდათისა და ტყიბულის რაიონებს. წყალტუბოს, ბაღდათის და ტყიბულის რაიონებში მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს. იმავდროულად, მაგისტრატ მოსამართლეებს უფლება აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, განიხილონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადი საქმეებიც.

სასამართლოს სტრუქტურა:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საქმეებს იხილავს 2 მოსამართლე. სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით საქმეებს იხილავს 3 მოსამართლე, ხოლო ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით საქმეებს იხილავს ერთი მოსამართლე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილებას სულ 6 მოსამართლე ახორციელებს. წყალტუბოს, ბაღდათის და ტყიბულის მაგისტრატ სასამართლოებში კი თითო-თითო მაგისტრი მოსამართლეა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მდებარეობა და მისამართი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლო მდებარეობს ქალაქის აღმოსავლეთით, ბალახვანში, კუპრაძის ქ. №11-ში.

მაგისტრატი სასამართლოების მდებარეობა და მისამართი:

წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო მდებარეობს — წყალტუბო, რუსთაველის ქ. №31-ში.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლო მდებარეობს — ბაღდათი, ვაჟა-ფშაველას ქ. №7-ში

ტყიბულის მაგისტრატი სასამართლო მდებარეობს — ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №4-ში

როგორ მივიდეთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართულებით ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს. ყველაზე გრძელი მარშრუტი №100 სამარშრუტო ტაქსს აქვს, რომელიც მოძრაობას იწყებს ავტოქარხნის მეორე შესახვევიდან და ავტომშენებლის, ირ. აბაშიძის, რუსთაველის, წერეთლის, მანდარიას ქუჩების გავლით გადის კუპრაძის ქუჩაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინ. №100 სამარშრუტო ტაქსის ბოლო გაჩერებაა ახალგაზრდობის გამზირი.

სასამართლოს შენობა:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში სპეციალურად სასამართლოსათვის არის აგებული.

2007 წელს განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია, რის შემდეგაც სასამართლომ ფუნქციონირება გააგრძელა განახლებულ შენობაში. ამჟამად შენობაში განთავსებულია 7 თანამედროვე დარბაზი: 3 სისხლის და 3 სამოქალაქო. ხოლო ერთი სპეციალიზებული დარბაზი გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის.

შენობა ხუთსართულიანია. პირველ სართულზე ჰოლში განთავსებულია ელექტრონული მონიტორები, რომელთა მეშვეობითაც მხარეები იღებენ ინფორმაციას მიმდინარე და ჩანიშნული პროცესების შესახებ. პირველ სართულზე განთავსებულია მისაღები, სადაც ხდება მოქალაქეთა და მხარეთა განცხადებების, შუამდგომლობების და საჩივრების მიღება.

პირველ სართულზე მხარეთათვის განთავსებულია საქმის მასალების გასაცნობი ოთახები. ასევე სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განსახილველად თითო-თითო სასამართლო დარბაზი. სისხლის სამართლის

საქმეთა განსახილველ დარბაზში განსასჯელებისათვის განკუთვნილი კაბინა თანამედროვე ტიპის ტყვიაგაუმტარი მინებითაა აღჭურვილი. ამასთან, პირველ სართულზე განთავსებულია დარბაზი, რომელიც ნაფიც მსაჯულთათვისაა განკუთვნილი.

პირველ სართულზეა ასევე სასამართლოს თავმჯდომარის მისაღები, სამუშაო და მოსასვენებელი ოთახები.

შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ერთი დარბაზი სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად, 2 მოსამართლის და მათი აპარატების სამუშაო ოთახები.

შენობის მესამე და მეოთხე სართულებზე, ისევე, როგორც მეორე სართულზე განთავსებულია თითო-თითო სასამართლო დარბაზი და 2-2 მოსამართლის და მათი აპარატების სამუშაო ოთახები.

სასამართლოს შენობაში არსებულ სასამართლო სხდომის ყველა დარბაზს დამატებითი, მხოლოდ მოსამართლისათვის განკუთვნილი შესასვლელი აქვს. პატიმრებისათვის დამოუკიდებელი შესასვლელები აქვთ სისხლის სამართლის საქმეთა დარბაზებსაც, რათა განსასჯელები მხარეებს ან პროცესის სხვა მონაწილეებს არ შეხვდნენ. შენობა ისეა დაპროექტებული, რომ სრულიად დაცულია უსაფრთხოების ნორმები, რაც საბადრაგო სამსახურის მუშაობას აადვილებს და პატიმრის გაქცევის შესაძლებლობას გამორიცხავს.

შენობა ისეა დაპროექტებული, რომ სხდომის დარბაზში მოსამართლე მისთვის განკუთვნილი შესასვლელით შედის, განსასჯელი კი საბადრაგო სამსახურს დარბაზში ისე შეჰყავს, რომ იგი ვერც მოსამართლეს და ვერც მოქალაქეებს ხვდება.

შენობის შიდა და გარე პერიმეტრი მთლიანად ვიდეოკამერების საშუალებით კონტროლირდება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არქივი განთავსებულია შენობის მე-5 სართულზე, სადაც ინახება სასამართლოში განხილული საქმეები 2006 წლიდან დღემდე, ხოლო 2003 წლის ჩათვლით ყველა კატეგორიის საქმე გადაგზავნილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში. (მის: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 65, ტელ: (995 32) 748158; (995 32) 748162;).

სასამართლოს ვებგვერდი:

მოქალაქეთა მომსახურებისა და ინფორმირებისათვის არსებობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდი, რომლის მისამართია: www.kutaisi.court.gov.ge

ვებგვერდის საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ დეტალური ინფორმაცია მიიღონ საქალაქო სასამართლოში მიმდინარე და დასრულებული საქმეების, სასამართლოს სტრუქტურის, მოსამართლეების, საკანონმდებლო აქტების, სასამართლოს ისტორიის და სასამართლოში არსებული სიახლეების შესახებ. აქვე შეუძლიათ გაეცნონ სარჩელის, შესაგებლის, სააპელაციო შესაგებლის, საკასაციო საჩივრის, საკასაციო შესაგებლის ფორმების ნიმუშებს. ვებგვერდზე მოცემულია, როგორც სასამართლოს აპარატისა და კანცელარიის, ასევე მოსამართლეთა თანაშემწეების სამსახურეობრივი ტელეფონები.

სტაჟირება სასამართლოში:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სტუდენტი იურისტები სტაჟირებას სპეციალური პროგრამით გადიან. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, განიმტკიცონ სამართლებრივი ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები. ექვსთვიანი სტაჟირების კურსის გავლის შესაძლებლობა წელიწადში დაახლოებით 50 სტუდენტს ეძლევა. წარჩინებულები ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საქმდებიან. ინფორმაცია სტაჟირების გავლის წესის შესახებ მოცემულია საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე.

ხშირად დასმული შეკითხვები:

◊ ***რომელ საქმეებს განიხილავენ მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით?***

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ სამოქალაქო საქმეებს:

- ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს;
- უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს;
- საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე;

მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ ადმინისტრაციულ საქმეებს:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ;
- სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;
- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;
- საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;
- მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გამოცემის თაობაზე.

- შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

სისხლის სამართლის წესით მაგისტრატი მოსამართლეები იხილავენ:

- ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

◊ ***როგორ გავიგო რა სტადიაზეა ჩემი საქმე და როდის არის დანიშნული პროცესი?***

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ, ასევე თავად მიიღონ ინფორმაცია საქმის განხილვის მიმდინარეობის შესახებ. მას შემდეგ, რაც მხარეთათვის სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით ცნობილი გახდება, თუ რომელ მოსამართლეს გადაეცა კონკრეტული საქმე, მათ შეუძლიათ ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდნენ მოსამართლის თანაშემწეს, როგორც სასამართლოს შენობიდან, ასევე – საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით www.kutaisi.court.gov.ge

◊ ***როგორ დავუკავშირდე მოსამართლის თანაშემწეს? თუ შიდა ტელეფონს არ პასუხობს, შეიძლება თუ არა მობილური ტელეფონის გაგება?***

სასამართლოს მიერ მხარისათვის გაგზავნილ სარჩელსა თუ შესაგებლის ასლს თან ერთვის გზავნილი, აგრეთვე სასამართლოს მიერ გაგზავნილ უწყებაში მითითებულია მოსამართლის თანაშემწის სახელი და გვარი, მისი სამსახურის ტელეფონის ნომერი. სასამართლოს შენობაში სპეციალურად განთავსებულ დაფაზე გამოკრულია სასამართლოს აპარატის, როგორც სამსახურეობრივი, ისე – კორპორაციული მობილური ტელეფონის ნომრებიც.

◊ ***მაქვს თუ არა უფლება, შევხვდე ან ტელეფონით ვესაუბრო მოსამართლეს მის წარმოებაში არსებულ საქმეზე?***

„საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად: „საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე, აკრძალულია პროცესის მონაწილეთა, დაინტერესებულ პირთა და საჯარო მოსამსახურეთა მოსამართლესთან კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან და არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს“.

◊ ***თუ არა სასამართლოს თავმჯდომარეს მიღების საათები? თუ არა – ვის მივმართოთ?***

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეს შეუძლია წერილობით მიმართოს სასამართლოს თავმჯდომარეს, აპარატის უფროსს ან შესაბამისი მოსამართლის თანაშემწეს.

◊ ***როგორ გავიგო, რომელი სხდომის დარბაზში და როდის ჩატარდება სასამართლო პროცესი?***

სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყებით მხარეებს შეუძლიათ შეიტყონ, თუ რომელი მოსამართლე განიხილავს კონკრეტულ საქმეს. როდის, რომელ სხდომათა დარბაზში წარიმართება პროცესი, აგრეთვე, რა სტატუსით არის იგი მოწვეული სხდომაზე. აღნიშნული ინფორმაცია, აგრეთვე, განთავსებულია სასამართლოს ფოიეში არსებულ მონიტორებზე.

◊ ***მაქვს თუ არა უფლება, სარჩელის შევსების თაობაზე სასამართლოს მისაღებში მოვითხოვო იურიდიული კონსულტაცია?***

სასამართლოს მისაღებში დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს იურიდიული კონსულტაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმების ნიმუშების შევსებასთან დაკავშირებით. სასამართლო არ გასცემს კონსულტაციებს იურიდიულ საკითხებზე. უფასო იურიდიული დახმარების მიღება მოქალაქეებს შეუძლიათ მხოლოდ ადვოკატთან ან საამისოდ სპეციალიზირებულ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციაში. სასამართლოს თანამშრომელი არ არის ვალდებული, დაეხმაროს მხარეს სარჩელის ფორმის შევსებაში, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს კანცელარია ვალდებულია, შეამოწმოს სარჩელისა და განცხადების ფორმალური (და არა შინაარსობრივი) მხარე და ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში სარჩელისა და განცხადების შემომტანს მიუთითოს უზუსტობაზე.

◊ ***მხარეების მოთხოვნით შეიძლება თუ არა პროცესის ნაადრევად დანიშვნა და რა შემთხვევაში?***

მხარეების თხოვნით სხდომის ნაადრევად დანიშვნა არ შეიძლება, ვინაიდან მხოლოდ საქმის მწარმოებელი ორგანო – სასამართლოა უფლებამოსილი, დანიშნოს სხდომა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

◊ ***როგორ ნაწილდება საქმე მოსამართლეებს შორის? შეიძლება თუ არა მოვითხოვო საქმის გადაცემა კონკრეტული მოსამართლისათვის?***

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები და სხვა მასალები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოში საქმის შემოსვლის თანმიმდევრობის მიხედვით. სასამართლოს საქმეების განაწილების მიზნით, მოსამართლეთა რიგითობას განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლის გვარის პირველი, ხოლო იგივეობის შემთხვევაში – მომდევნო ასოს მიხედვით. შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს. მოსამართლეთა რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში თავმჯდომარე ვალდებულია, ხელახლა განსაზღვროს მოსამართლეთა რიგითობა. კანონმდებლობით დაუშვებელია რომელიმე კონკრეტულ მოსამართლეზე განაწილების მოთხოვნა.

◊ ***რა შემთხვევაში და პროცესის რომელ სტადიაზე შემიძლია მოსამართლის აცილება?***

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში: მხარეებს შეუძლიათ, წერილობით განაცხადონ აცილება, რომელიც უნდა იყოს მოტივირებული და გაკეთდეს საქმის წინასწარი განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე. მოსამართლის აცილების საფუძვლებია:

- მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სხვა ინსტანციის სასამართლოში;
- სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდებიან, ისინი ჩამოაცილონ საქმის განხილვას;

მოსამართლემ ასევე არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

- ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
- ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
- მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე;
ბ) დანიშნული;
გ) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
დ) და-ძმა;
ე) დისშვილები და ძმისშვილები;
ვ) მშობლების და-ძმები;
ზ) დანათესავებულები (მოყვრები);
თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობებით არიან დაკავშირებულნი;

სისხლის სამართალწარმოებაში — საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში თუ:

- კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;
- ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;
- არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;
- ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;
- არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.
- მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს

მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში.

- მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში.

მხარეებს შეუძლიათ, მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე დააყენონ მოსამართლის აცილების საკითხი პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება მხარეებს შეუძლიათ მხოლოდ ჩამოთვლილი საფუძვლებით. სხვა საფუძვლით მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება დაუშვებელია.

◊ ***რა შედეგი ექნება არასრული სარჩელის წარდგენას (მაგალითად, თუ სარჩელს არ დავურთე ქვითარი ბაჟის გადაუხდელობის შესახებ?)***

თუ სარჩელი არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შევსების შესახებ ან სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

◊ ***რამდენ დღეში მივიღებ განაჩენს, განჩინებას და გადაწყვეტილებას?***

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. თავიანთი განცხადების საფუძველზე მხარეებს გადაეცემათ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების შემოტანიდან.

სისხლის სამართალწარმოებაში – საქართველს სსსკ-ის თანახმად, განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა. განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს სახელმწიფო ბრალმდებელს და მსჯავრდებულს ან გამართლებულს. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით გადაეცემა იმავე ვადაში.

◊ ***გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ვის უნდა მივმართო?***

გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწვყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

◊ ***როგორ შეიძლება გავეცნო განსახილველ საქმეს? მაქვს თუ არა უფლება, გავეცნო საქმეში არსებულ ყველა მასალას? სად და როგორ გადავიღო მასალის ასლები?***

მხარეებს უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერი საქმის მასალებიდან, გადაიღონ ასლები, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ სასამართლოს. საქმის მასალების გაცნობასა და ასლების გადაღებას უზრუნველყოფს სასამართლო. „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს:

ა) A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი — ერთი გვერდი – 0,05 ლარს;
ბ) ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარს;
გ) კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2,65 ლარს;
დ) დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარს;
ე) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მოთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი -2,75 ლარს;
ვ) ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მოთხოვნის აუდიოდისკეტაზე – 1 საათი – 0,50 ლარს.

◊ ***როგორ ხდება საარქივო საქმეების გაცნობა და ასლების გადაღება? საქმეში არამონაწილე პირს შეუძლია თუ არა საარქივო საქმის გაცნობა, ასლების გადაღება?***

საარქივო მასალების გაცნობა და გადაღება (სხვა პირისათვის) ხდება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს ნებართვით და გაიცემა დამუშავებული სახით, თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა.

◊ ***რატომ არ შეიძლება, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერამდე შენიშვნებისათვის მხარე გაეცნოს სხდომის ოქმს?***

ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის სხდომის ოქმი, იურიდიული ძალის მქონეა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის შედეგ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის მიერ სხდომის ოქმის გაცნობა შენიშვნების გასაკეთებლად შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს სხდომის მდივნის და სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) ხელმოწერის შემდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე 5 დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე – 3 დღე-ღამის განმავლობაში.

◊ ***რა ვადაში მიექცევა აღსასრულებლად საქმე?***

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერი ძალაში შესვლის შემდეგ. გარდა ამისა, გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს დაუყოვნებლივ.

◊ ***შეიძლება თუ არა დაწყებულ პროცესზე შესვლა?***

დაწყებულ სასამართლო პროცესზე შესვლა არ შეიძლება.

◊ ***რა სახის იძულებითი ღონისძიებები გამოიყენება სხდომაზე წესრიგის დამრღვევი პირის მიმართ?***

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლებით გათვალისწინებულია სასამართლოში წესრიგის დამრღვევის

პასუხისმგებლობის ზომები, კერძოდ, თუ პროცესში მონაწილე ან სხდომაზე დამსწრე პირი არღვევს წესრიგს, არ ემორჩილება სხდომის თავმდჯომარის განკარგულებას ან გამოხატავს სასამართლოსადმი უპატივცემულობას, მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აჯარიმებს 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ჯარიმის ოდენობა 50-დან 5000 ლარამდეა განსაზღვრული) აძევებს სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ან აპატიმრებს 30 დღემდე ვადით.

◊ ***მხარის, როგორც საპატიო, ისე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება თუ არა მინდობილობით მისი ახლობლის პროცესზე გამოცხადება?***

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეს უფლება აქვს, თავისი საქმე სასამართლოში აწარმოოს წამომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობები დამოწმებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის დაცვით. პირველი ინსტანციის სასამართლოში არ არის სავალდებულო, წარმომადგენელი იყოს ადვოკატი. ამასთან, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში წარმომადგენელი შეიძლება იყოს ადვოკატი.

სისხლის სამართალწარმოებაში – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს მხარის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მინდობილობით მისი ახლობლის პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას.

◊ ***აუცილებელია თუ არა ადვოკატის მონაწილეობა? შეიძლება თუ არა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უფლების დაცვა ადვოკატის საშუალებით?***

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო პროცესისათვის ადვოკატის აყვანა აუცილებელი არ არის, თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ მას გააჩნია საკმარისი ცოდნა იმისათვის, რათა სათანადოდ დაიცვას საკუთარი უფლებები. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია უფლების დაცვა ადვოკატის საშუალებით. პირველი ინსტანციის სასამართლოში არ არის სავალდებულო, წარმომადგენელი იყოს ადვოკატი. ამასთან, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მოანაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ პირი გადაწყვეტს, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში თავისი ინტერესები დაიცვას წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელი შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი.

სისხლის სამართალწარმოებაში ადვოკატს ირჩევს ბრალდებული ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება. ბრალდებულს არ შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა.

სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი:

- თუ არასრულწლოვანია;
- თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

- თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
- ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე. დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, თუ:

- გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას;
- არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

◊ ***როგორ შევიტანო სარჩელი და რა დოკუმენტები უნდა დავურთო მას?***

1. სასამართლოში სარჩელის (განცხადების) შეტანა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მიხედვით. კერძოდ, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით, ხოლო ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში

— განცხადებით. სარჩელი (განცხადება) შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით და უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს. სასამართლოში შემოტანილი სარჩელი (განცხადება) ასევე უნდა ექვემდებარებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს, ანუ სარჩელში უნდა აღინიშნოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;

ბ) მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები;

გ) დავის საგანი;

დ) სარჩელის ფასი;

ე) კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ვ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ზ) მოსარჩელის მოთხოვნა;

თ) სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ი) არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობები:

I. სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;

II. სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ

სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზედაც არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;

III. სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები;

IV. ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

V. სხვა სახის შუამდგომლობები;

კ) სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

ლ) ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული ინტერესი, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი;

მ) მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

2. სარჩელს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

3. მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

4. მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს სარჩელში საკუთარი, მოპასუხის, მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მისამართები.

5. სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

კეთილი იყოს თქვენი მოგზრძანება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში!

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადგილი სასამართლო სისტემაში

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, საქართველოში მოქმედი სამსაფეხურიან სასამართლო სისტემაში შემავალი მეორე ინსტანციის სასამართლოა, რომელიც წმინდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოდ 2005 წელს ჩამოყალიბდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სააპელაციო სასამართლოს იურისდიქცია განსაზღვრულია „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 09 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 59-ე მუხლით, რომელიც მოიცავს აბაშის, ამბროლაურის, ბაღდათის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლენტეხის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ტყიბულის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ხელვაჩაურის, ხობისა და ხონის რაიონულ და ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 34 მოსამართლით.

საქმეთა განხილვის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის და სამართლიანობის პრინციპებით.

სააპელაციო სასამართლოს ორგანიზაცია და სტრუქტურა

მხარეთა სააპელაციო საჩივრების საფუძველზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოებიდან საქმეები განსახილველად იგზავნება სააპელაციო სასამართლოში, რომლებიც რეგისტრირდება სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) შესაბამის სექტორში და ენიჭება რიგითი ნომერი. შემდეგ საქმეები გადაეცემა კონკრეტულ მოსამართლეს (თანაშემწეს) კანონით განსაზღვრული რიგითობის მიხედვით. საქმეთა განაწილება მიმდინარეობს მათი შემოსვლის დროისა და მოსამართლეთა ანბანური რიგის შესაბამისად საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე გამოცემული სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით.

საქმეთა განაწილების და მათი განხილვის შესახებ კომპიუტერულ პროგრამაში შედის ზოგადი ინფორმაცია, რომლის გაცნობა მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს მისაღებში, სადაც მისაღების სპეციალისტები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კონსულტაციას და დახმარებას უწევენ მოქალაქეებს. სასამართლოს შენობაში განთავსებული საინფორმაციო დაფიდან კი მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ინტერნეტ ვებ-გვერდზე www.kutaisiappeal.court.gov.ge დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას სასამართლოში განსახილველ საქმეთა შესახებ, სტატისტიკურ მონაცემებს სასამართლოს მუშაობის შესახებ, იმ საქმეთა განხილვის შესახებ ინფორმაციას, რომლის მიმართაც საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს და ზოგადად, სასამართლოს საქმიანობის შესახებ სიახლეებს.



სააპელაციო სასამართლოში, მხარეთა (ფიზიკური თუ იურიდიული პირების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) სააპელაციო საჩივრებს (კერძო საჩივრებს და საჩივრებს) განიხილავს სამი პალატა და ერთი კოლეგია:

- სისხლის სამართლის საქმეთა პალატა
- სამოქალაქო საქმეთა პალატა
- ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
- საგამოძიებო კოლეგია

სააპელაციო სასამართლოს პალატა საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე (განაჩენებზე), კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს მისი განსჯადობისთვის მიკუთვნებულ სხვა საქმეებს, გადასინჯავს



განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. სააპელაციო სასამართლოს პალატა, როგორც წესი, საქმეს განიხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

სააპელაციო სასამართლოში შექმნილია ასევე საგამოძიებო კოლეგია. საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს საჩივრებს სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებაზე და მათი ვადის გაგრძელებაზე. საგამოძიებო კოლეგიაში შეიძლება გასაჩივრდეს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ბრძანება (დადგენილება), რომლითაც მოსამართლემ იმსჯელა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე, ასევე წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე და სხვა.

სააპელაციო სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება (განაჩენი) შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში. საგამოძიებო კოლეგიის დადგენილება კი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ვინ შეიძლება გამწესდეს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ?

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

ამჟამად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში უფლებამოსილებას ახორციელებს 15 მოსამართლე. მათი ბიოგრაფია და პირადი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, იხილონ სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.kutaisiappeal.court.gov.ge.

საჩივრის განხილვა სააპელაციო სასამართლოში

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატაში. სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება.

სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ რაიონული (საქალაქო) სასამართლო სააპელაციო საჩივარს საქმესთან ერთად გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 თვეს.

სააპელაციო საჩივარი, როგორც წესი, განიხილება კოლეგიურად — სამი მოსამართლის შემადგენლობით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

ვის შეუძლია სააპელაციო საჩივრის შეტანა?

სისხლის სამართალწარმოებაში სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებით სარგებლობენ პროცესის მონაწილე სუბიექტები. სამოქალაქო პროცესის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოებაში ასეთი უფლებამოსილება გააჩნიათ მხარეებსა და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ამ უფლებით მხარეებთან ერთად სარგებლობენ საქმეში სავალდებულო წესით ჩართული მესამე პირები.

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი და ის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებასაც ითვალისწინებს კანონი.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

მხარეებს სააპელაციო საჩივარი შეაქვთ გადაწყვეტილების (განაჩენის, განჩინების) გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. სისხლის სამართლის საქმეებზე ამ ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე — გადაწყვეტილების მხარისათვის გადაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე წარდგენილ საჩივრებს აპელანტმა უნდა დაურთოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. სააპელაციო საჩივარს ხელს უნდა აწერდეს მისი შემტანი პირი ან წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ საპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სახელით სააპელაციო საჩივრის წარდგენისას აუცილებელია, საჩივარს ახლდეს მსჯავრდებულის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებში და საგამოძიებო კოლეგიაში საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის სავალდებულოა, რომ წარმომადგენელს (ადვოკატს) გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა ტესტირება და იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

სააპელაციო საჩივრის შინაარსი

სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი, იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე, მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული, მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი, მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას, მითითებას, ხომ არ სურს სა-

აპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სააპელაციო საჩივარი, აგრეთვე დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს მხარემ უნდა წარუდგინოს იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

სააპელაციო საჩივრის ფორმა და შინაარსი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით და თუ საჩივარი შედგენილი არ არის აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, არ განიხილოს ასეთი საჩივარი.

საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად, რომელიც უნდა შეიცავდეს პასუხს შემდეგ კითხვებზე: ეთანხმება თუ არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს; თუ არ ეთანხმება, რა გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი; ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენას და თუ აპირებს, რა მიზეზით არ წარმოადგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სურს თუ არა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

საქმის წარმოება სააპელაციო საჩივრის მოსამართლისათვის გადაცემის შემდეგ

სააპელაციო საჩივარი მისი წარდგენიდან განხილვამდე, როგორც წესი, გაივლის სამ ეტაპს:

- სააპელაციო საჩივრის მიღება
- დასაშვებობის შემოწმება
- დაშვების შემთხვევაში მისი განხილვა

სააპელაციო საჩივრის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში (სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას ასეთი ვადა დადგენილი არ არის) სააპელაციო სასამართლო ამოწმებს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ეს განჩინებები შეიძლება მიღებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მი-

ერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია თუ იგი პასუხობს სააპელაციო საჩივრისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით არის შევსებული. სამოქალაქო საქმეებზე არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის დამატებითი პირობები. კერძოდ: იგი დაიშვება თუ გასაჩივრებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან მიღებულია განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ასევე სამოქალაქო საქმეებში სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დაიშვება თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

ვინ მონაწილეობს სააპელაციო საჩივრის განხილვაში?

სააპელაციო საჩივრის განხილვაში მონაწილეობენ მხარეები და მესამე პირები.

სისხლის სამართლის საქმეებზე მონაწილეობენ ბრალდებისა (პროკურორი, დაზარალებული, მისი დამცველი და კანონიერი წარმომადგენელი) და დაცვის მხარეები (მსჯავრდებული, მისი დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი).

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მონაწილეობენ მოსარჩელე და მოპასუხე მხარეები (მათი დამცველები და სხვა წარმომადგენლები), ასევე — პროცესში ჩაბმული მესამე პირები.

სააპელაციო სასამართლო კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლებამოსილია, საქმე განიხილოს მხარეთა მონაწილეობის (ზეპირი მოსმენის) გარეშე.

რა გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეზე?

სააპელაციო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს.
- აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს.
- შეაქვს ცვლილება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში.
- უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო წესით განაჩენის გაუქმების და შეცვლის საფუძველი

სააპელაციო წესით განაჩენის გაუქმების და შეცვლის საფუძველია:

- არასრული ან ცალმხრივი წინასწარი გამოძიება, ანდა სასამართლო განხილვა, რაც ვერ შეივსება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას.
- განაჩენში ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, თუ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულებების შეგროვება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას.
- სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა.

რა წესით ხდება საჩივრის შეტანა სისხლის სამართლის საქმეებზე ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ?

ახლად აღმოჩენილია ფაქტობრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

- როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, აგრეთვე ყალბია სხვა მტკიცებულება, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს ან განჩინებას;
- როცა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის, გამომძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა ამ საქმის განხილვის დროს;
- სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ან იმ პირის ბრალეულობას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.
- გარემოებანი, რომლებიც მოწმობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს.

ახლად გამოვლენილია სამართლებრივი გარემოებანი, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნება:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი;
- კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივარი შეაქვთ:

- საქართველოს მთავარ პროკურორთან – საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებთან — შესაბამისად ამ რესპუბლიკების სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივარი უშუალოდ შეაქვთ:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებზე.

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის საქმეებზე

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა იღებენ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს.
- აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ: საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ, სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის კანონზომიერებას. გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება. გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი. საქმეში არ არის სასამართლო სხდომის ოქმი. გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებაა.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე პირველ ინსტანციაში და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

საქმის წარმოების განახლება კანონიერ ძალაში შესულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის საქმეზე.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ:

- გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში.
- ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.
- პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

აღნიშნული საფუძვლებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ შეიძლება, თუ მხარეს შეეძლო ამ საფუძვლების წამოყენება საქმის განხილვისას, შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოში.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

- აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;
- დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება.
- დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;
- სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;
- მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;
- მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.
- არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს

განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

რა ოდენობის ბაჟს იხდის საპელაციო საჩივრის ავტორი?

სიხლის სამართლის საქმეებზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება.

სამოქალაქო საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტს, მაგრამ არ უნდა იყოს 150 ლარზე ნაკლები. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკური პირისათვის – 5 000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას შესაძლებელია პირის სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლება, შემცირება ან გადიდება, მისი მატერიალური მდგომარეობისა

თუ სხვა მიზეზების გათვალისწინებით.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სახელმწიფო ბაჟს მხარე არ იხდის სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე.

თუ დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და ეს აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც.

თუ მხარე, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს სასამართლოს ხარჯები, რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება, მაშინ სასამართლო ხარჯები მათ შორის ნაწილდება თანაბრად.

დამატებითი ინფორმაცია:

სააპელაციო საჩივრის ფორმა და შინაარსი დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით. სააპელაციო საჩივრის ფორმა და ინსტრუქცია საჩივრის შევსების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდებიდან: www.hcoj.gov.ge, www.kutaisiappeal.court.gov.ge

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის №32
ტელ: (+995 331) 4-57-28
ფაქსი: (+995 331) 5-23-02
www.kutaisiappeal.court.gov.ge